პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 48-ე წელი
№ 61 (14057) | ხუთშაბათი, 14 მარტი, 1968 წ. | ფასი 2 კაპ.

საქველმოქმედო პრემია

ზესტაფონი. (საკ. კორ.). ზესტაფონის „საქკაბელის" ქარხნის კოლექტივის სახელზე მოსკოვიდან სასიხარულო ცნობა მოვიდა. წარმოების მაღალი კულტურისა და ტექნიკური ესთეტიკის სანიმუშოდ მოწყობისათვის, რაც აუმჯობესებს შრომის პირობებს, ზრდის შრომის ნაყოფიერებას და ამაღლებს პროდუქციის ხარისხს, სსრ კავშირის ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტრომ ფულადი პრემიით დააჯილდოვა ქართველი მეკაბელეები.

ხუთწლედი — ვადამდე!

თავი გამოიჩინეს

ბათუმი. (საკ. კორ.). ნაყოფიერად შრომობს ბათუმის ცენტრალური ნავთობგადასატვირთავი ბაზის კოლექტივი, რომელიც წარმატებით უზრუნველყოფს საექსპორტო და შიდა ბაზრებზე გასაგზავნი ნავთობპროდუქტების მიწოდებას. მან გადაჭარბებით შეასრულა გასული საგუბილეო წლის გეგმა, რისთვისაც ფულადი პრემია მიიღო.

უკეთესი მაჩვენებლებით აღინიშნა ახალი წელი. იანვარში რიტმული მუშაობის შედეგად ცისტერნების დამუშავების დრო 20 პროცენტით შემცირდა. დამთავრდა ბაზის მთლიანი რეკონსტრუქცია. საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი საქვაბე.

ბაზაში ენერგიულ შრომით თავი გამოიჩინა მესამე საამქროს ოპერატორმა გაიოზ ჩხაიძემ. საუკეთესო მაჩვენებლებისათვის იგი გარდამავალი ვიმპელის მფლობელია.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ: ოპერატორი გ. ჩხაიძე.
ფოტო ვ. ფუბინინისა.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

კომუნისტთა განაწესი — ცხოვრებაში!

ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების ანგარიშგება-არჩევნებმა, რამაც რესპუბლიკაში სამოვენახეობაზე მეტბანს გასტანა, ცხადყო ჩვენი პარტიული ორგანიზაციების შემდგომი განმტკიცება, მათი ბრძოლისუნარიანობის ამაღლება და სულ უფრო მზარდი როლი სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანების გადაწყვეტაში.

პირველადი პარტიული ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებების, რაიონული, საქალაქო და საოლქო პარტიულ ორგანიზაციათა კონფერენციების უდიდესმა უმრავლესობამ ჩაიარა მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე, ორგანიზებულად, საქმიანობის, მომთხოვნელობის, პრინციპული კრიტიკისა და თვითკრიტიკის ჯეთარებაში. კომუნისტებმა გამოიჩინეს დიდი დაინტერესება პარტორგანიზაციების მოღვაწეობის ძირეული საკითხებით. ამან გამოხატულება ჰპოვა საანგარიშო-საარჩევნო კრებებსა და კონფერენციებზე მათს მაღალ დასწრებაში, გამოსვლებში.

კრებებსა და კონფერენციებზე ნათლად აისახა XXIII ყრილობის შემდეგ პარტიისა და ქვეყნის ცხოვრებაში მომხდარი უმნიშვნელოვანესი პროცესები. კომუნისტები ყველგან ქმაყოფილებით აღნიშნავდნენ, რომ უკანასკნელ წლებში სულ უფრო ვითარდებოდა შინაპარტიული დემოკრატია, მეტი უურადღება ექცეოდა პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმების, პარტიის წესდების მოთხოვნათა მკაცრად დაცვას. შესამჩნევად გააქტიურდნენ პარტიული მასები, ამაღლდა პარტიული კრებების როლი. არჩევითი ორგანოები ახლა გაცილებით მეტ უურადღებას აქცევენ კომუნისტთა აზრს, უკეთ ითვალისწინებენ მათს კრიტიკულ შენიშვნებსა და წინადადებებს.

პირველადი პარტიული ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებების, რაიონული, საქალაქო, საოლქო პარტიული კონფერენციების გადაწყვეტილებებში. განზოგადებულია ყოველივე საუკეთესო, რაც პარტიულმა ორგანოებმა შეიძინეს საანგარიშო პერიოდში, გამომეღვენებულია ნაკლოვანებანი, დასახულია შემდგომი მუშაობის გზები. ამ გადაწყვეტილებებს ხავსებით სწორად უწოდებენ კომუნისტთა მოქმედების სახელმძღვანელოს.

ეკონომიკა პარტიული ორგანიზაციების ძირითადი საბრძოლო უბანია. ამიტომაც საანგარიშო-საარჩევნო კრებებსა და კონფერენციებს წიოელ ზოლად გასდევდა კომუნისტთა ზრუნვა ეკონომიკის განვითარების საარსებო პრობლემებისადმი, სახელმწიფო დავალებათა შესრულებისადმი. ამასთან ისინი ეკონომიკის საკითხებს განიხილავდნენ ორგანიზატორულ და მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობასთან ერთიანად კავშირში, მათს გადაჭრაში პარტიული მასების როლისა და მონაწილეობის თვალთახედვით. კომუნისტებმა ფორუმებზე ყოველმხრივ მსჯელობდნენ სამეურნეო მოღვაწეობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის სტილსა და მეთოდებზე.

თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხნის პარტიულ კონფერენციაზე დელეგატები ლაპარაკობდნენ იმ წარმატებებზე, რაც ამ საწარმომ მოიპოვა თავისი არსებობის მოკლე ხნის მანძილზე. მაგრამ კონფერენციის მონაწილენი ამასთანავე ერთად აღნიშნავდნენ ქარხნის მუშაობაში არსებულ ისეთ ხარვეზებზეც, როგორიც არის არარიტმულობა, იერიშობანა, ნაკლებმომთხოვნელობა. საწარმოს ეს ჩრდილოვანი მხარეები აისახა პარტიული კონფერენციის გადაწყვეტილებებში.

ბობის რაიონული პარტიული კონფერენციის დელეგატები ეხებოდნენ კოლხიდის დაშრობისა და ათვისების საქმეში არსებულ ნაკლოვანებებს. ორატორები აღნიშნავდნენ, რომ ჭიანურდება დაშრობითი სამუშაოების დაპროექტება, არ არსებობს დაშრობითი და სარეკონსტრუქციო სამუშაოთა ერთიანი გეგმა წლების მიხედვით, არ სრულდება გზების მშენებლობისა და რემონტის სამუშაოები, დაბალია შესრულებულ სამუშაოთა, განსაკუთრებით კი მილხიდების მშენებლობის ხარისხი, ცუდია მშენებელთა საყოფაცხოვრებო-კულტურული მომსახურება და სხვ.

შორს წაგვიყვანდა იმ საკითხების თუნდაც ნაწილის ჩამოთვლა, საითკენაც კომუნისტები კრიტიკის მახვილს მიმართავდნენ საანგარიშო-საარჩევნო კრებებსა და კონფერენციებზე, მაგრამ კრიტიკა კრიტიკისათვის როდი გვინდა! არამედ ამისათვის, რომ იგი გავითვალისწინოთ შემდგომ მუშაობაში, მთელი ძალები დავრაზმოთ ნაკლოვანებათა დასაძლევად. ამისათვის კი საჭიროა ყველგან შეექმნათ ჯანსაღი ატმოსფერო, რომელშიც კომუნისტებს, ყველა მშრომელს საშუალება ექნებათ არა მარტო ნაკლოვანებანი გამოავლინონ, არამედ კიდევაც მიაღწიონ მათ აღმოფხვრას და თვითონვე აქტიური მონაწილეობა მიიღონ ამ საქმეში.

საანგარიშო-საარჩევნო კრებებისა და კონფერენციების მსვლელობაში კომუნისტებმა დიდი მოთხოვნები წაუყენეს პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო ორგანიზაციებს, წამოაყენეს კონკრეტული წინადადებანი. პარტიულ კომიტეტებს მუდამ უნდა ახსოვდეთ ის განაწესები, რაც კომუნისტებისაგან მიიღეს და მუდმივად ზრუნავდნენ მათი განხორციელებისათვის, ამასთან ისინი ამ გადაწყვეტილებათა შესრულებაში უნდა დაეყრდნონ ფართო აქტივს.

არჩევითს პარტიულ ორგანოებში ცოტა როდია ახალგაზრდა, რომლებმაც ჯერ კიდევ სრულყოფილად არ იციან პარტიული მუშაობის არსი. საკმარისია აღინიშნოს, რომ ბიუროებისა და პარტკომების წევრებად, პარტორგანიზაციებს მდივნებად და მოადგილეებად არჩეულთა შორის 15.650 კაცი ანუ 37,2 პროცენტი არ შედიოდა ოცდა შემადგენლობაში. ამიტომ საჭიროებით სწორად იქცევიან ის პარტიული კომიტეტები, რომლებმაც დასახეს და ახორციელებენ ხელმძღვანელი პარტიული მუშაკების სწავლების, აღზრდისა და პრაქტიკული ზრდოგის ფართო ღონისძიებებს. მისაბაძია ამ მხრივ პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის მოღვაწეობა. იგი აქტივისტების აღზრდისათვის ნაყოფიერად იყენებს დარწმუნებისა და სწავლების ყველა ფორმას: ადამიანებთან მასობრივ და ინდივიდუალურ მუშაობას, ლექციებს, თეორიულ კონფერენციებს, კითხვა-პასუხის საღამოებს, თათბირ-სემინარებს, წრეებს, სკოლებს და სხვ. აქ კადრების აღზრდის მნიშვნელოვან საშუალებას წარმოადგენს ადგილებზე პრაქტიკული დახმარების აღმოჩენა.

პარტიის XXIII ყრილობამ განსაკუთრებით ხაზი გაუსვა იმას, რომ პარტიულმა ორგანიზაციებმა ადამიანებთან მუშაობაში უწინარეს ყოვლისა უნდა გათვალისწინონ მათი ხასიათის თავისებურებანი, საჭიროებანი, უნარი და საქმისადმი დამოკიდებულება. იგულისხმება, რომ ეს მოთხოვნები, უწინარეს ყოვლისა, ეხება პარტიული აპარატის მუშაკებს, ბიუროების წევრებს, პარტიული კომიტეტების, პირველადი ორგანიზაციების მდივნებს. რომ ასწავლო, მასპეს, თვითონ უნდა სარგებლოგდე დასახურებული ავტორიტეტით. ავტორიტეტს კი მოიპოვებ პრინციპულობით, პარტიული ეთიკის მკაცრად დაცვით, საქმის ღრმა ცოდნით, მოკრძალებულობითა და გულისხმიერებით.

პარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტების, პირველადი პარტიული ორგანიზაციების მოვალეობაა მიიღონ ყველა ზომა, რომლებიც უზრუნველყოფენ პარტიულია კონფერენციებისა და პირველადი პარტიული ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებების გადაწყვეტილებათა შესრულებას, აგრეთვე საანგარიშო მოხსენებათა განხილვისას კომუნისტთა მიერ გამოთქმული კრიტიკულ შენიშვნებსა და წინადადებებზე ხათანადო რეაგირებას. ამ მიზნით უნდა გაძლიერონ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლი, ბიუროების სხდომებზე სისტემატურად განიხილონ მათი განხორციელების მიმდინარეობის, აგრეთვე კომუნისტთა კრიტიკულ შენიშვნებსა და წინადადებებზე გამოხმაურების საკითხები. ამასთან საჭიროა გაწეული მუშაობის შედეგებზე ინფორმაცია გაუკეთონ კომუნისტებს პლენუმებზე, აქტივისა და პირველადი პარტორგანიზაციების კრებებზე.

რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებმა დაათვალიერეს ფიროსმანაშვილის გამოფენა

ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში გაიხსნა ნიკო ფიროსმანაშვილის ნაწარმოებთა გამოფენა, რომელზეც ექსპონირებულია მხატვრის 120-ზე მეტი სურათი. ეს არის ფიროსმანაშვილის ნაწარმოებთა ყველაზე სრული გამოფენა, რომელიც კი ოდესმე მოწყობილა რესპუბლიკაში. ცნობილი ტილოების გარდა, ექსპონირებულია შედარებით ახლახან აღმოჩენილი სურათები „კახეთის მატარებელი" და „სოფლის ეზო", რომლებიც ადრე გამოფენილი არ ყოფილა.

13 მარტს ნიკო ფიროსმანაშვილის ნამუშევრები დაათვალიერეს ვ. მუკანაძემ, პ. როდიონოვმა, დ. სტურუამ, რ. ფრუიძემ, გ. ჩოგოვაძემ, გ. ძოწენიძემ, გ. ჯავახიშვილმა, მ. კუჭავამ, შ. კიკნაძემ, ო. ლოლაშვილმა. (საქდესი).

სკკპ ისტორიის შემსწავლელთა დასასმარებლად

გამოიცა სკკპ ისტორიის ლექციების მესამე გამოშვება, რომელიც სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული უმაღლესი პარტიული სკოლის პარტიის ისტორიის კათედრამ მოამზადა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის პროფესორ ფ. დ. გრეტკოვის საერთო რედაქციით.

გამოცემას საფუძვლად დაედო სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ უმაღლეს პარტიულ სკოლაში წაკითხული პარტიის ისტორიის ლექციები. ლექციების მესამე გამოშვება მოიცავს პერიოდს 1937 წლიდან 1966 წლამდე — ომამდელ წლებს, დიდი სამამულო ომის წლებს, ომისშემდგომ პერიოდს, კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდს და მთავრდება თემით „პარტიის XXIII ყრილობა დიდმნიშვნელოვანი ნიშანსვეტია, კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში".

მესამე გამოშვებით მთავრდება ლექციების ამ კურსის გამოცემა.

წიგნი 180-ათასიანი ტირაჟით გამოუშვა გამომცემლობა „მისლმა" და უახლოეს დღეებში გაიყიდება.

ხელახლა გამოიცემა სკკპ ისტორიის ლექციების კურსის პირველი და მეორე გამოშვებები, რომლებიც 1965-66 წლებში გამოქვეყნდა. (საკდესი).

გაზის შადრევანი ტაიგაში

ᲣᲮᲢᲐ, 13 მარტი. (საკდესის კორ.). კომის ასს რესპუბლიკაში კუტილის გაზის უდიდესი საბადოს სამხრეთით 200 კილომეტრზე რასოხის არეში დღეს 1700 მეტრი სიღრმიდან ამოხეთქა გაზის მძლავრმა შადრევანმა. ჰაბარროვსკის სადღეღამისო დებიტი მილიონ კუბურ მეტრს აღემატება.

რასოხის გაზის საბადო უხტის გეოლოგიური სამმართველოს მზვერავთა პირველი აღმოჩენაა ხუთწლედის მესამე წელს.

საკავშირო ბრიგადა

ᲖᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲘ. (საკ. კორ.). ზესტაფონის „საქკაბელის" ქარხნის კოლექტივის სახელზე მოსკოვიდან სასიხარულო ცნობა მოვიდა. წარმოების მაღალი კულტურისა და ტექნიკური ესთეტიკის სანიმუშოდ მოწყობისათვის, რაც აუმჯობესებს შრომის პირობებს, ზრდის შრომის ნაყოფიერებას და ამაღლებს პროდუქციის ხარისხს, სსრ კავშირის ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტრომ ფულადი პრემიით დააჯილდოვა ქართველი მეკაბელეები.

ᲡᲐᲙᲐᲠᲘᲐᲜᲘᲡ ᲡᲔᲛᲘᲜᲐᲠᲖᲔ

სიტყვა ეძლევათ მხატვრებს

ᲑᲐᲙᲣᲠᲘᲐᲜᲘ. 13 მარტი. („კომუნისტის" სპეც. კორ. ტელეფონით). მესამე დღეა აქ, ახალგაზრდობის საერთაშორისო ბანაკის „მზიური ველის" სხდომათა დარბაზში მუშაობს საქართველოს ახალგაზრდა შემოქმედებითი ინტელიგენციის მეოთხე რესპუბლიკური სემინარი.

ლიტერატურის და მუსიკის დღეების შემდეგ სიტყვა მიეცათ მხატვრებს. სემინარზე „სახვითი ხელოვნების დღეს" ხელმძღვანელობდა საქართველოს მხატვართა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე, რესპუბლიკის დამსახურებული მხატვარი ე. მეძმარიაშვილი.

ქართული საბჭოთა მხატვრობის დიდ ტრადიციებზე და ახალგაზრდა ხელოვანთა შემოქმედებით ძიებებზე ვრცლად ილაპარაკა მხატვარმა თ. გოცაძემ, ხოლო მხატვარმა გ. გუნიამ თავისი გამოსვლა მიუძღვნა თანამედროვე თეატრალურ-დეკორატიული მხატვრობის საკითხებს.

საერთოდ „სახვითი ხელოვნების დღე", ისე როგორც წინა დღეები, მიმდინარეობდა პრინციპული, ჯანსაღი სჯა-ბაასის ვითარებაში. ახალგაზრდა მხატვრებმა, სხვა სახეობის ხელოვნების წარმომადგენლებთან ერთად გამოთქვეს მთელი რიგი საყურადღებო დებულებანი საჭირბოროტო სადღეისო პრობლემების შესახებ. კერძოდ, ყველას აღელვებს ის ფაქტი, რომ რესპუბლიკის დედაქალაქისა და საქართველოს სხვა ქალაქების მხატვრული გაფორმება ჯერ კიდევ ვერა დგას სათანადო დონეზე.

შემოქმედებითი კავშირები ყველაზე დიდ უურადღებას უნდა უთმობდნენ მხატვრული გემოვნების განვითარებას მოსწავლე ახალგაზრდობაში.

აღინიშნა, რომ ამ ბოლო ორი წლის მანძილზე რესპუბლიკურ და სრულიად საკავშირო გამოფენებზე თავი გამოიჩინა ახალგაზრდა მხატვართა დიდმა ჯგუფმა, რომელმაც საფუძვლიანად მიიპყრო საზოგადოებრივობის და კრიტიკოსების უურადღება. ეს მხატვრები არიან ბ. შველიძე, გ. ნარმანია, ნ. მესხიძე, ა. კაკაბაძე, ბ. მესხიშვილი და ბევრი სხვა. მათ ნამუშევრებში გვხიბლავს თავისთავადობა, კოლორიტი, მკაფიო ინდივიდუალობა.

გამოსვლებში ბევრი რამ ითქვა იმის შესახებ, რომ საჭიროა სახვითი ხელოვნების პროპაგანდა, სხვადასხვა სახეობის ხელოვნების წარმომადგენელთა შორის უფრო მჭიდრო კონტაქტების დამყარება. აზრთა ურთიერთგაზიარებაში მონაწილეობდნენ მოქანდაკე გ. მიქაძე, საქართველოს არქიტექტორთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე თ. კვირკველია, არქიტექტორი გ. გეგელია, პოეტი რ. ამაშუკელი, მხატვრები მ. ახობაძე და რ. ფორდი, რუსთაველ დრამატული თეატრის მხატვრული ხელმძღვანელი გ. ლორთქიფანიძე, პოეტი ჯ. ჩარკვიანი, რესპუბლიკის დამსახურებული არქიტექტორი ო. კალანდარიშვილი, რესპუბლიკის დამსახურებული მხატვარი გ. ფირცხალავა.

დისკუსიის შედეგები შეაჯამა რესპუბლიკის მხატვართა კავშირის თავმჯდომარის მოადგილემ ფ. მეძმარიაშვილმა.

ხვალ სემინარის პროგრამის მიხედვით „არქიტექტორის დღეა".

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐ

ᲠᲔᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲐᲪ, ᲐᲡᲝᲠᲢᲘᲛᲔᲜᲢᲘᲪ

112 პროცენტით შეასრულა ხუთწლედის მესამე წლის პირველი ორი თვის პროდუქციის რეალიზაციის გეგმა თბილისის № 4 მექანიკურმა ქარხანამ. ნაცვლად 490 ათასი მანეთისა რეალიზებულია 545 ათასი მანეთის პროდუქცია. ამჟამად აქ 38 დასახელების პროდუქციას უშვებენ — მავთულის ბადეებს, წყლის ონკანებს, საწოლებს და სხვ. პროდუქციის 70 პროცენტი ფართო მოხმარების საგნებია.

ქარხანაში საწარმოო პროცესების 90 პროცენტი უკვე ავტომატიზებულია. სწორედ ამ ფაქტმა შეუწყო ხელი იმას, რომ საწარმომ პროდუქციის 42 დასახელებიდან მთელი ასორტიმენტის მხრივ გადაჭარბებით შეასრულა იანვარ-თებერვლის დავალება.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲨᲐᲮᲢᲝ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲚᲐᲛ�პᲐᲠᲘ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ. (საკ. კორ.). ელექტრომექანიკური ქარხნის კოლექტივი შეუდგა კიდევ ერთი ახალი პროდუქციის — საშახტო ელექტროლამპრების სერიულ გამოშვებას.

„რვალ-15" ტიპის ფეთქებადუსაფრთხო ლუმინესცენციურ ელექტროლამპარა დიდი გამოყენება ექნება როგორც შახტებსა და მაღაროებში, ისე გვირაბმშენებლობასა და სახალხო მეურნეობის მთელ რიგ სხვა დარგებში. მასზე განსაკუთრებით დიდი მოთხოვნილებაა ქვანახშირის შახტებში, სადაც ფეთქებადი გაზები წარმოიშობა. ლუმინესცენციურ ელექტროლამპარზე გაზები არ მოქმედებს და იგი ამ მხრივ საკმაოდ უსაფრთხოა.

ახალი პროდუქციის სერიულ წარმოებასთან დაკავშირებით ქარხანაში სპეციალურად შეიქმნა საშახტო ელექტროლამპრების საამქრო, რომელსაც ახალგაზრდა ინჟინერი ნ. ფურცხვანიძე ხელმძღვანელობს.

ქარხანამ ელექტროლამპრების პირველი პარტიები უკვე გაუგზავნა მოსკოვის მეტროშენებლებსა და დონბასის მეშახტეებს.

წელს აქ 100 ათასი ცალი საშახტო ელექტროლამპარი უნდა გამოუშვან.

ᲒᲔᲒᲛᲐ — ᲕᲐᲓᲐᲛᲓᲔ

□ **თელავის** რაიონმა უკვე შეასრულა სახელმწიფოსათვის რძის მიყიდვის პირველი კვარტალის დავალება. სახელმწიფოს მიეყიდა 3.527 ცენტნერი რძე, ნაცვლად 3.450 ცენტნერისა.

□ **ყვარლის** რაიონის მშრომელებმა პირობა გაანაღდეს. სახელმწიფოს მიჰყიდეს 2.349 ცენტნერი რძე. და ამით პირველი კვარტალის გეგმა 102,1 პროცენტით შეასრულეს.

□ **მცხეთის** რაიონის პირობა იყო 5 მარტამდე სახელმწიფოსათვის მიეყიდა 2.410 ცენტნერი რძე. ფაქტიურად სახელმწიფოს უკვე მიყიდეს 2.418 ცენტნერი.

□ **ტყიბულელებმა** პირობა გაანაღდეს. სახელმწიფოს მიჰყიდეს 1.615 ცენტნერი ხორცი და ამით პირველი კვარტალის გეგმა 111,4 პროცენტით შეასრულეს.

ᲯᲝᲜᲡᲝᲜᲘᲡ ᲤᲐᲥᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲐᲛᲐᲠᲪᲮᲔᲑᲐ

ᲙᲝᲜᲙᲝᲠᲓᲘᲐ (ნიუ-ჰემპშირის შტატი), 13 მარტი. (საკდესი). პირველადმა არჩევნებმა ნიუ-ჰემპშირის შტატში გარკვეული მოულოდნელობა მოუტანა ამერიკის შეერთებული შტატების ორივე მმართველი პარტიის პოლიტიკურ მოღვაწეებს.

დემოკრატ სენატორს იუჯინ მაკარტის, რომელიც ვიეტნამის ომის მოწინააღმდეგეთა პოზიციაზე დგას, ამ არჩევნებში მხარი დაუჭირა დემოკრატიული პარტიის მომხრეთა 41 პროცენტმა.

ჯონსონმა, რომლის სახელი ოფიციალურად არ იყო შეტანილი საარჩევნო ბიულეტენებში, მაგრამ რომლის დასახელებისათვის აქტიურ კამპანიას ეწეოდნენ, მოაგროვა ხმების 50 პროცენტი. მიმომხილველნი აღნიშნავენ, რომ არჩევნების შედეგები პრეზიდენტ ჯონსონის ტაქტიკური დამარცხებაა. ნიუ-ჰემპშირის ამომრჩეველები, მიუხედავად ჯონსონის ერთგულ პარტიულ მოღვაწეთა ცდებისა ჩრდილი მიეყენებინათ მაკარტის მოღვაწეობისათვის, არ წამოეგენ ანტიომუნისტური პროპაგანდის ანკესს. სასურველი შედეგი არ მოჰყოლია ჯონსონის მომხრეთა მეცადინეობას ბრალი დაედოთ მაკარტისათვის, „ხელს უწყობს ჰანოის" და „ერისადმი არალოიალურია".

რესპუბლიკური პარტიის კანდიდატთაგან არსებითი გამარჯვება მოიპოვა რიჩარდ ნიქსონმა. წინასწარი მონაცემებით, მას მხარი დაუჭირა რესპუბლიკური პარტიის მომხრე ამომრჩეველთა 80 პროცენტმა, რაც რეკორდი აღემატება ხმების იმ რიცხვს, რომელიც მოაგროვა მისმა მოწინააღმდეგემ — პრეზიდენტობის გამოუცხადებელმა კანდიდატმა ნ. როკფელერმა.

აქაური კომენტატორების „ზრით, როკფელერი მიიღებდა ამომრჩეველთა უფრო მნიშვნელოვან მხარდაჭერას, არჩევნებს დასაწყისში რომ გაენეცხადებინა, რა პოზიცია უკავია ვიეტნამის საკითხში.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 13 მარტი. (საკდესი). „ინგლისის მუშათა მოძრაობის მემარცხენე ფრთის დიდი გამარჯვება" — ასე გამოეხმაურა დღეს გაზეთი „ტაიმსი" იმ ამბავს, რომ ორი კომუნისტი ტომ უოლმსლი და ჯორჯ კეგორნი პასუხსაგებ თანამდებობაზე აირჩიეს მანჩესტერში — ინგლისის ერთ-ერთ უდიდეს პროფკავშირში.

გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ კომუნისტებმა გაიმარჯვეს მემარჯვენე ფრთის კანდიდატებთან ბრძოლაში.

ტომ უოლმსლი არჩეულია პროფკავშირის ერთიანი ორგანიზატორად, ხოლო ჯორჯ კეგორნი — შეფილდის განყოფილების მდივნად.

ᲮᲔᲚᲨᲔᲙᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲜᲘᲜᲐᲐᲦᲓᲔᲒᲔᲜᲘ ᲮᲘᲣᲢᲝᲑᲔᲨᲘ

ᲑᲝᲜᲜᲘ, 13 მარტი. (საკდესი). ატომური იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულების მიზნები „გაუგებარია", — განაცხადა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრმა, ქრისტიანულ-სოციალური კავშირის თავმჯდომარემ შტრაუსმა ბონში უცხოელ ჟურნალისტთა გაერთიანების წევრთა შეკრებაზე.

□ □

ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘᲡ კომენტატორი ე. ბაშმაჩნიკოვი წერს:

ამრიგად, ბონის მინისტრი მოგვაგონებს ბავშვს, რომელსაც ვერ გაუგია, თუ რა მიზანს ისახავს ატომური იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულების პროექტი, 18 სახელმწიფოს განიარაღების უენევის კომიტეტში რომ ამზადებენ. ამ აშკარა მოუხერხავი საბაბით მან უარი განაცხადა გამოეთქვა თავისი დამოკიდებულება ხელშეკრულების პროექტისადმი, რომელსაც მსოფლიოს მთელი პროგრესული საზოგადოებრიობა დიდი მოუთმენლობით მოელის. საქმე ის არის, რომ შტრაუსი, რომელიც მეთაურობს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მმართველი ზედაფენის ყველაზე რევანშისტულ ფრთას, ხელშეკრულების გაფორმებული მოწინააღმდეგეა.

როგორც ჩანს, ბონში ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა თუ თავიდან ვერ აიცილონ, ყოველ შემთხვევაში მაქსიმალურად გააჭიანურონ ხელშეკრულების მიღება.

ᲛᲐᲠᲝᲙᲝᲔᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘ ᲐᲦᲤᲮᲝᲗᲘᲗᲔᲑᲣᲚᲘᲐ

ᲠᲐᲑᲐᲗᲘ, 13 მარტი. (საკდესი). „მაროკოელი ხალხი აღშფოთებულია როდეზიის რასისტულ ხელისუფალთა საქციელით, რომლებმაც სიკვდილით დასაჯეს სამი აფრიკელი პატრიოტი", — ნათქვამია „ალ ალამში", — „ეს ფაქტი ერთ-ერთ ორგანიზაციის გენერალ მდივანს ეუბნა ... ...

მისაბაძი თაოსნობა

კომპლექსური მექანიზაცია ყველა მეურნეობაში!

„საქსოფლტექნიკისა“ და კარტიის გარდაბნის რაიკომის ერთობლივი ღონისძიება

ამ დღეებში გარდაბნის რაიონში შესანიშნავ საქმეს ჩაეყარა საფუძველი. პირველად ჩვენს რესპუბლიკაში დაიწყო ლაშქრობა სოფლის მეურნეობის სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაციისა და სამანქანო-სატრაქტორო პარკისა და მეცხოველეობის ფერმების ტექნოლოგიური დანადგარების ტექნიკური მომსახურებისათვის.

ერთი მხრივ საბჭოთა მეურნეობები და მეორე მხრივ რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკა“ — აი სად დაიბადა ეს თაოსნობა.

...და საქმე ორგანიზებულად რომ დაწყებულიყო, ამ დღეებში პარტიის გარდაბნის რაიკომში მიიწვიეს, როგორც რაიონის საბჭოთა მეურნეობების, ისე „საქსოფლტექნიკის“ ხელმძღვანელები, პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები.

● ●

ა. ბეძაურმა — პარტიის გარდაბნის რაიკომის პირველმა მდივანმა, ბიუროს სხდომის გახსნისას თქვა:

— რაიონის მშრომელების წინაშე დგას მეტად დიდი და პასუხსაგები ამოცანები. ჩვენ მთლიანად უნდა უზრუნველყოთ ქალაქების თბილისისა და რუსთავის მშრომელნი სოფლის მეურნეობის სრულფასოვანი პროდუქტებით. ეს ამოცანა კარგად რომ შევასრულოთ, ახლა ღღის წესრიგში დგას სოფლად კომპლექსური მექანიზაციის დანერგვა. თითქმის ნახევარი წელია, რაც ამ მხრივ მოსამზადებელ მუშაობას ეწევინ, როგორც პარტიის გარდაბნის რაიკომი, ისე რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკა“. ვფიქრობთ ყველაფერი წესრიგში გვაქვს იმისათვის, რომ ახლა პრაქტიკულად შეეფდგეთ ამ დიდი საქმის განხორციელებას. უფრო კონკრეტულად კი ამის შესახებ რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ თავმჯდომარის მოადგილე **დ. სარიშვილი** მოგახსენებთ.

— უკანასკნელ პერიოდში, თქვა დ. სარიშვილმა, — ერთგვარად გაუმჯობესდა რაიონის საბჭოთა მეურნეობების მანქანა-ტრაქტორთა პარკისა და მეცხოველეობის ფერმების ტექნოლოგიური დანადგარების გამოყენება, ამაღლდა მექანიზაციის დონე. მეურნეობები აღიჭურვნენ მძლავრი ტექნიკით. ამის შედეგად მკვეთრად გადიდდა სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება, გადაჭარბებით შესრულდა სახელმწიფო შესყიდვის დავალებები.

— მიუხედავად ამისა, მეურნეობებში მექანიზაციის დარგში, — თქვა დ. სარიშვილმა, — არის სეროიზული ნაკლოვანებანი. დაბალ დონეზეა საინჟინრო საქმიანობა, მთლიანად უგულებელყოფილია მანქანათა ტექნიკური მომსახურების საგეგმო-გამაფრთხილებელი სისტემა. შედგენილი არ არის ტექნიკური მოვლისა და რემონტის გრაფიკები, არ ხდება სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ყოველდღიური და პერიოდული შემოწმება და უზუბად ირღვევა სარემონტო-შორისო ვადები. ტრაქტორები და სხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანები მუშაობენ სრულ გაცვეთამდე. ხშირია ტექნიკის მოცდენისა და მისი დაბალი წარმადობით გამოყენების შემთხვევები. ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა მექანიზატორთა შრომის ანაზღაურების, საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისა და კვალიფიკაციის ამაღლების საქმეს.

მომხსენებელმა აქვე მოიყვანა საინტერესო ციფრები ზემოთქმულის დასადასტურებლად. როგორც მან აღნიშნა, შემოწმებულია 20 საბჭოთა მეურნეობის 687 ტრაქტორიდან 49 გაუმართავია და არ მუშაობს. 133 კომბაინიდან არ მუშაობს 20. მეცხოველეობის ფერმების 64 ნაკელის გამტანი ტრანსპორტიორიდან უქმად დგას 15, 31 საწველი აგრეგატიდან — 9. საგულისხმოა, რომ მათი საერთო საბალანსო ღირებულება შეადგენს 15 ათას მანეთს, ხოლო მარტო საამორტიზაციო წლიური ხარჯები — 36 ათას მანეთს. მიუხედავად ამისა, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ტექნიკის ერთი ნაწილი ინსტრუქციის შესაბამისად ჩამოსაწერია, ხელმძღვანელებსა და ინჟინერ-ტექნიკურ პერსონალს საამისოდ ღღემდე არაფერი უფიქრიათ.

გასულ წელს რაიონის მეურნეობებში 15-ცხენისძალიანი პირობითი ტრაქტორის დატვირთვა 370 ჰექტარს არ აღემატებოდა. **ეს** მაშინ, როცა „საქსოფლტექნიკის“ **გარდაბნის** განყოფილებაში იგი უდრიდა 569 ჰექტარს, სართიჟალის განყოფილებაში — 538 ჰექტარს.

რუსიბოლოს მეგოსტნეობა-მერძეველობის საბჭოთა მეურნეობაში (დირექტორი ბ. ისმაილოვი, მთავარი ინჟინერი მ. ბაგიროვი) ბალანსზე მყოფი სხვადასხვა მარკის 60 ტრაქტორიდან უმოქმედოდ დგას 7. უმოქმედოდ დგას ავრეთვე ნაკელის გასატანი ორი ტრანსპორტიორი და ერთი საწველი აგრეგატი. მათი საამორტიზაციო ხარჯები 5.571 მანეთს შეადგენს. ასევე არ მუშაობს სარიჟალის მერძეველობა-მეგოსტნეობის მეურნეობაში (დირექტორი ა. დემეტრაძე, მთავარი ინჟინერი გ. ხოსიტაშვილი) მარცვლის ასაღები ხუთი კომბაინი და ორი საწველი აგრეგატი, გარდაბნის კიროვის სახელობის მერძეველობის საბჭოთა მეურნეობაში (დირექტორი გ. ხალილოვი, მთავარი ინჟინერი ტ. ალესკეროვი) ნაკელის გასატანი 7 ტრანსპორტიორი და 390 ცალი ავტოსასმელი. მარტო საამორტიზაციო ხარჯების სახით გასულ წელს სართიჟალელმა მექანიზატორებმა იზარალეს 2.390 მანეთი, ხოლო გარდაბნელმა მექანიზატორებმა — 2.600 მანეთი. ანალოგიური მდგომარეობაა სხვა მეურნეობებშიც.

მანქანა-ტრაქტორთა პარკის ცუდი მოვლა-პატრონობა და გამოყენების დაბალი დონე იმითაც არის გამოწვეული, რომ რაიონში არსებული საბჭოთა მეურნეობებიდან მხოლოდ 12-ს აქვს სტაციონარული ტექნიკური მომსახურების პუნქტი. აღნიშნული პუნქტებიც არ არის აღჭურვილი და დაკომპლექტებული საჭირო რაოდენობის დაზგა-დანადგარებით, ხელსაწყო-მოწყობილობებით და კვალიფიციური კადრებით. მეურნეობათა უმრავლესობა განიცდის ტრაქტორისტ-მემანქანეთა მწვავე ნაკლებობას. რაიონის მეურნეობებში არსებულ 687 ტრაქტორზე მუშაობს 560 კაცი, ანუ ერთ ტრაქტორზე 0,82. ეს მაშინ, როცა ორ ცვლად მუშაობისათვის საჭიროა სულ ცოტა 890 ტრაქტორისტი-მემანქანე. აღსანიშნავია ისიც, რომ რაიონში ჯერ კიდევ დაბალია მეცხოველეობის ფერმებში შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის დონე, მეურნეობებში არსებული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის 129 ფერმიდან შრომატევად სამუშაოთა პროცესები მექანიზებული არ არის 65 ფერმაში.

როგორ შეიძლება მდგომარეობის გამოსწორება? აი საკითხი, რომელზეც გაცხარებული სჯა-ბაასი გაიშალა პარტიის გარდაბნის რაიკომის გაფართოებულ ბიუროზე.

სიტყვა ითხოვა **რუსთავის მეღორეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა შ. თოფურიძემ:**

— ჩვენთან ძალიან ცუდად დგას მეღორეობის ფერმების მექანიზაციის საქმე. ავაშენეთ ფერმა 2.500 ღორისათვის. ვერ იქნა და ვერ უზრუნველყავით მასში მექანიზმების დადგმა. გვაკლია 28 ცალი ნაკელის მექანიზმები და ზოგიერთი სათადარიგო ნაწილები. საჭიროა „საქსოფლტექნიკამ“ მეტი დახმარება გაგვიწიოს ამ საქმეში.

მ. ბრეგვაძე — ნორიოს საბჭოთა მეურნეობის დირექტორი: გვაკლია საწველი აგრეგატების სათადარიგო ნაწილები. ხშირად გადაიწვება ხოლმე ნაკელის ტრანსპორტიორების ძრავები. ჩვენ მივესალმებით „საქსოფლტექნიკისა“ და პარტიის რაიკომის ერთობლივ თაოსნობას კომპლექსური მომსახურების მოწყობის საქმეში.

ვ. ელიზბარიშვილი — გამარჯვების საბჭოთა მეურნეობის დირექტორი: სათანადოდ ვერ ვუვლით ტექნიკას. არა გვყავს კადრები. სამწუხაროა, სპეციალისტები თავიანთი დანიშნულების მიხედვით რომ არ მუშაობენ. გარდაბნის პროფტექნიკურმა სასწავლებელმა ყურადღება უნდა მიაქციოს ტრაქტორისტების მომზადების საქმეს.

ვ. ალიევი — გაჩიანის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი: უნდა მოვაგვაროთ ტრაქტორისტთა და მატერიალური ანაზღაურების საქმე. ამასთან მეტი ყურადღება უნდა მიექცეს კადრების ინდივიდუალურ მომზადებას.

ი. ხოხლოვი — რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ თავმჯდომარე:

ღონისძიება, რომლის განხორციელებაც გადავწყვიტეთ, პირველია ჩვენი რესპუბლიკის პრაქტიკაში. ხელშეკრულებით, რომელიც გაფორმდება ერთი მხრივ საბჭოთა მეურნეობასა და მეორე მხრივ „საქსოფლტექნიკას“ შორის, ჩვენ ვალდებულებას ვკისრულობთ გავუწიოთ კომპლექსური მომსახურება არსებულ ტექნიკას. ეს მით უმეტეს სასარგებლოა საბჭოთა მეურნეობებისათვის, რადგან იმავე ხარჯების გაღებით ისინი უზრუნველყოფილი იქნებიან კარგი ტექნიკური მომსახურებით. ვფიქრობთ ეს სიახლე მეტად ეფექტური გამოდგება და ხელს შეუწყობს რაიონის სოფლის მეურნეობის აღმავლობას.

— საქმე უკეთ რომ მოგვარდეს, — ამბობს შემდგომ ი. ხოხლოვი,—საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს კადრების მომზადებას, მათს მიზნობრივად გამოყენებას. წინა პლანზე უნდა წამოიწიოთ ზრუნვა მექანიზატორთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის. ამ ბოლო დროს სრულებით არ ვიყენებთ მცირე მექანიზაციის საშუალებებს, რაც დიდი შეცდომაა.

„საქსოფლტექნიკის“ მუშაკები ჩვენივე წამოწყებულ საქმეს ბოლომდე წარვმართავთ. ამ მხრივ მხარდაჭერას მოვითხოვთ საბჭოთა მეურნეობებისაგან.

მრავალი საინტერესო ღონისძიებათაგან, რომელიც რაიკომის ბიუროომ შეიმუშავა, განსაკუთრებით აღსანიშნავია **სადისპეტჩერო სამსახურის მოწყობა.**

რას ნიშნავს ეს?

სადისპეტჩერო სამსახურს, რომელიც გამოიყენებს რადიოტელეფონებს, აღრიცხვაზე ეყოლება აყვანილი თვითეული ტრაქტორი, კომბაინი, სხვა სასოფლო-სამეურნეო მექანიზმები და თვალყურს ადევნებს მათს მუშაობას. ავარიების, დაზიანების თუ სხვა არასასურველი მოვლენების შემთხვევებში იგი იღებს ზომებს მდგომარეობის **გამოსასწორებლად.**

დადგენილების დანარჩენი პუნქტები კი შემდეგნაირად არის ჩამოყალიბებული:

დაევალოს საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს:

ორი კვირის ვადაში შეამოწმონ მანქანა-ტრაქტორთა პარკისა და მეცხოველეობის ფერმების ტექნოლოგიური დანადგარების მდგომარეობა. შესაბამის ზემდგომ ორგანოებთან შეთანხმებით ჩამოწერონ ექსპლოატაციისათვის უვარგისი ტექნიკა,ახლოს ვარგის იარაღ-მანქანებზე შეადგინონ რემონტისა და ტექნიკური მოვლის გრაფიკები იმ ვარაუდით, რომ საგაზაფხულო სამუშაოები აგროვადებში დაიწყონ;

დაკომპლექტონ ტრაქტორები, კომბაინები და სხვა რთული სასოფლო-სამეურნეო მანქანები საჭირო რაოდენობის კვალიფიციური ტრაქტორისტებით, მემანქანეებით, შეუქმნან მათ ნორმალური საყოფაცხოვრებო პირობები და მოაწყონ სატრაქტორო პარკის ორ ცვლად მუშაობა.

მკაცრი კონტროლი დააწესონ ტრაქტორისტების შრომის ანაზღაურებისადმი, მანქანა-ტრაქტორთა პარკზე გაწეული დანახარჯების აღრიცხვა შეუმჯობესონ აწარმოონ მანქანების მარკების, სამეურნეო ნორმებისა და ცალკეული ტრაქტორისტ-მემანქანეების მიხედვით.

„საქსოფლტექნიკის“ გარდაბნისა და სართიჟალის განყოფილებების მმართველებმა ამა წლის 1 სექტემბრისათვის უნდა უზრუნველყონ მათი მომსახურების ზონების მეურნეობათა სატრაქტორო პარკის და მეცხოველეობის ფერმების ტექნოლოგიური დანადგარების კომპლექსურ-ტექნიკურ მომსახურებაზე აყვანა სათანადო ხელშეკრულებათა გაფორმებით.

ტექნიკური მომსახურების გასაუმჯობესებლად და საქმის ოპერატიული მართვის უზრუნველსაყოფად მეურნეობათა ფერმებში ტექმომსახურების პუნქტებსა და „სოფლტექნიკის“ სახელოსნოს შორის მოაწყონ სადისპეტჩერო სამსახური. რემონტი და პერიოდული ტექნიკური მოვლა აწარმოონ წინასწარ შედგენილი და დამტკიცებული გეგმა-გრაფიკების მიხედვით, რისთვისაც დისპეტჩერის საშუალებებს დეკადურად მოსთხოვონ მეურნეობებს ცნობები სატრაქტორო პარკის მიერ შესრულებული სამუშაოებისა და საწვავის ხარჯვის შესახებ;

ერთი დეკადის ვადაში დააზუსტონ და რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკას“ წარუდგინონ განაცხადი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მომსახურებისათვის საჭირო ავტომოძრავი სახელოსნოების, ტექნიკური მოვლის საწარმოებლად აგრეგატების, საწვავის გასაყოფი ინვენტარის, სადისპეტჩერო სადგურის რადიოტელეფონებისა და სხვა მოწყობილობათა შესახებ;

მეურნეობათა დირექტორებმა და „საქსოფლტექნიკის“ რაიონულმა განყოფილებებმა ერთი თვის ვადაში უნდა შეიმუშაონ და რაიონულ კომიტეტს წარუდგინონ კონკრეტული ღონისძიებანი მიმდინარე წელს მეცხოველეობის ყველა ფერმაში შრომატევად სამუშაოთა მექანიზებულად შესრულების შესახებ;

რაიონული კომიტეტის ბიუროო სთხოვს „საქსოფლტექნიკას“ კომპლექსურ-ტექნიკურ მომსახურებაზე აყვანილ მეურნეობებთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად და მეცხოველეობის ფერმების ტექნოლოგიური დანადგარების აღჭურვისათვის „საქსოფლტექნიკის“ გარდაბნისა და სართიჟალის განყოფილებებს მათ მიერ წარდგენილი განაცხადის მიხედვით გამოუყოს ავტომოძრავი სახელოსნოები, დანადგარ-მონაწილეობანი, სათადარიგო ნაწილები და სარემონტო მასალები.

ბოლო პუნქტში აღნიშნულია:

ეთხოვოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს რაიონის მეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მოვლა-პატრონობის გაუმჯობესებისათვის ტექნიკური მომსახურების პუნქტების მოწყობის ღონისძიებათა დასახახავად და მშენებლობისათვის მიაკვლიოს სამინისტროს და მებოსტნეობა-მერძეველობის ტრესტის პასუხისმგებელი მუშაკები. დადგენილების პროექტში რამდენიმე პუნქტი მიძღვნილი აქვს ამ ახალი საქმის წამოწყებაში პირველადი პარტიული ორგანიზაციების განსაკუთრებით აქტიური მონაწილეობის საკითხს.

ზ. მერკვილაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.



1883 წლის 14 მარტს ლონდონში ნაშუადღევს, ხან საათს თხუთმეტი წუთი რომ აკლდა, შეწყდა გენიალური ადამიანის სიცოცხლე... გარდაიცვალა კარლ მარქსი.

რეაქციულ მთავრობათა მხრივ დევნამ, მწვავე გაჭირვებამ, რასაც მან თავი ვერ დააღწია მთელი სიცოცხლის მანძილზე, მძაფრმა ბრძოლებმა მრავალსახოვან არაპროლეტარულ და ანტიპროლეტარულ მიმდინარეობათა წინააღმდეგ, დაძაბულმა თეორიულმა მუშაობამ გატეხა მისი ძალები.

გაეგზავნა დეპეშები და წერილები ავგუსტ ბებელს, ვილჰელმ ლიბკნეხტს, პეტრე ლავროვს... გააკეთეს განცხადება პრესაში კ. მარქსის გარდაცვალებაზე.

და აი დადგა ამ უკვდავი ადამიანის ჰაიგეტის სასაფლაოზე დაკრძალვის დღე — 17 მარტი.

ფრიდრიხ ენგელსმა სასაფლაოზე წარმოთქვა სიტყვა: „...ჩვენ იგი მხოლოდ ორი წუთით დავტოვეთ; როდესაც დავბრუნდით, იგი დაგვხვდა სავარძელში მშვიდად მიძინებული, — მაგრამ უკვე საუკუნოდ...

უკვე მალე ვიგრძნობთ იმ საშინელ სიცარიელეს, რაც ამ გიგანტის სიკვდილის შემდეგ დარჩა. როგორც დარვინმა აღმოაჩინა ორგანული სამყაროს განვითარების კანონი, ისე მარქსმა აღმოაჩინა კაცობრიობის ისტორიის განვითარების კანონი.

...იგი გარდაიცვალა პატივცემული, საყვარელი, დატირებული მრავალ მილიონ რევოლუციონერ თანამებრძოლთაგან, რომელნიც გაფანტული არიან მთელ ევროპასა და ამერიკაში ციმბირის მაღაროებიდან ვიდრე კალიფორნიამდე. და მე თამამად შემიძლია ვთქვა: მას ჰყავდა ბევრი მოწინააღმდეგე, მაგრამ საეჭვოა, თუნდაც ერთი პიროვნებისა მტერი ჰყოლოდეს.

მისი სახელი და მისი საქმე იცოცხლებს საუკუნეთა განმავლობაში!“

ყველა ქვეყნის კომუნისტმა და ყველა პატიოსანმა ადამიანმა თავი დახარა ამ დიდი ადამიანის ნათელი ხსოვნის წინაშე. ყვავილებითა და გვირგვინებით შეამკეს მისი საფლავი. მისი ცხოვრება და ბრძოლა მაგალითი იყო მათთვის.

ფრიდრიხ ენგელსი, მარქსის პირველი თანამებრძოლი და მეგობარი, კაბინეტში თავის თავთან განმარტებული, მთლიანად ეძლეოდა მწუხარებას. კვლავ უწყვეტ ნაკადად მოდის დეპეშები და წერილები... მის ყურადღებას იპყრობს ორი კონვერტი, რომლებზეც ნაცნობი ხელით გაკეთებულია წარწერა პეტრე ლავროვისა. ხსნის ზემოთა კონვერტს:

„პარიზი, 1883 წ. 31 მარტი.

ჩემო ძვირფასო ენგელსო!

გიგზავნით საფოსტო გადარიცხვით 124 ფრანკს და 50 სანტიმს, რაც მიღებულია... პეტერბურგიდან „ტექნოლოგიური ინსტიტუტის სტუდენტებისა და რუსი მოსწავლე ქალებისაგან... გვირგვინისათვის კარლ მარქსის საფლავზე შესამკობად“.

ენგელსი ხსნის კიდევ ერთ საქაღალდეს. აქ არის სამძიმრის დეპეშები და წერილები გერმანელი სოციალ-დემოკრატებისაგან, ფრანგი მუშებისაგან, ესპანეთის მუშათა პარტიისაგან.

და აი რუსი სტუდენტებისაგან:

„მოსკოვი, 1883 წ. 18 მარტი. გადაეცით ბ-ნ ენგელსს, „ინგლისში მუშათა კლასის მდგომარეობის“ ავტორს და განსვენებული კარლ მარქსის გულითად მეგობარს, ჩვენი თხოვნა შეამეოს „კაპიტალის“ დაუფიქსირი ავტორის კუბო შემდეგი წარწერის მქონე გვირგვინით: „შრომის უფლებათა დამცველს თეორიაში და ცხოვრებაში ამ უფლებათა განხორციელებისათვის მებრძოლს — მოსკოვის პეტროგრადის სასოფლო-სამეურნეო აკადემიის სტუდენტებისაგან“.

რამდენიმე დღის შემდეგ ენგელსი პარიზში ლავროვს სწერდა: „...მინდა ვაცნობო ამ სახელოვან უმაწვილებს, რომ მივიღე მათი დეპეშა და შეკასრულე მისია, რომელიც მათ მომანდეს“.

მარქსი დასაფლავეს უბრალოდ. მის საფლავზე დადგეს თეთრი მარმარილოს გრძელი მართკუთხა ჩარჩო. მის ზემო ნაწილზე ცალ მხარეს დაკანტული მარმარილოს ბალიში იყო, ხოლო ბალიშზე სადა წარწერა:

ჰენი ფონ-ვესტფალენი
კარლ მარქსის
საყვარელი მეუღლე
დაიბადა 1814 წლის 12 თებერვალს,
გარდაიცვალა 1881 წლის 2 დეკემბერს

კარლ მარქსი
დაიბადა 1818 წლის 5 მაისს,
გარდაიცვალა 1883 წლის 14 მარტს,

ჯარი ლონგე
მათი მეულეშვილი
დაიბადა 1876 წლის 4 ივლისს,
გარდაიცვალა 1883 წლის 20 მარტს.

ელეონ დემუტი
დაიბადა 1823 წლის 1 იანვარს
გარდაიცვალა 1850 წლის 4 ნოემბერს

**ვ. ი. ლენინი ლონდონში ცხოვრების დროს ხშირად დადიოდა ჰაიგეტის სასაფლაოზე, მარქსის საფლავთან. ...ეს ... ადამიანი, ...

საერთაშორისო ცხოვრება

მსოფლიოს დეპეშათა სააგენტოები გვატყობინებენ

ცეცხლს უშვენენ ინტერვენტებს

ბრძოლები სამხრეთ ვიეტნამში

ნიუ-იორკი, 13 მარტი. (საკდესი). სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების შეიარაღებული ძალების რაზმები მეთოთხმეტე დღეა აქტიურად იბრძვიან ამერიკის საზღვაო ქვეითი ჯარის რჩეული ნაწილების წინააღმდეგ, რომლებიც იცავენ დიდმნიშვნელოვან სტრატეგიულ პუნქტს — ამერიკის შეერთებული შტატების ჯარების მომარაგების დონგჰის ბაზას.

ამ ბაზიდან მარაგებენ საომარი მასალებით, სამხედრო ლეჭურგილობით და სურსათით საზღვაო ქვეითი ჯარის ნაწილებს, რომლებიც თავმოყრილი არიან დემილიტარიზებული ზონის სამხრეთით. ამ მთავარი პუნქტის დაცვას ამერიკის სარდლობა განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებს და ამიტომ იქ გზავნის სულ ახალ და ახალ მაშველ ძალებს.

გუშინ აქ საზღვაო ქვეითი ჯარის მესამე დივიზიის პოლკს არტილერიის, ტანკებისა და ხომალდების დახმარებით გააფთრებული ბრძოლა ჰქონდა განთავისუფლების ძალების ბატალიონის წინააღმდეგ. როგორც ასოშიეიტედ პრესის საგენტოს საიგონელი კორესპონდენტი იუწყება, ამ ბრძოლის დროს დახოცეს 30-ზე მეტი ამერიკელი ჯარისკაცი.

განთავისუფლების სახალხო შეიარაღებული ძალების ქვეგანყოფებსა და ამერიკა-საიგონის ჯარებს შორის გუშინ შეიარაღებული შეტაკებანი ხდებოდა სამხრეთ ვიეტნამის ხუთ ჩრდილოეთ პროვინციაში. ბრძოლებს განსაკუთრებით შეუპოვარი ხასიათი ჰქონდა სანაპირო ქალაქ ზიალინთან, სადაც საზღვაო ქვეითი ჯარის ბაზაა განლაგებული, და კუანგნის პროვინციული ცენტრის მახლობლად.

მეკონგის დელტაში გუშინ პატრიოტებმა კვლავ არტილერიისა და რაკეტული იარაღის ძლიერი ცეცხლი დაუშინეს ინტერვენტთა დიდ ავიაბაზას ბიენჰოაში. ირის მსხვერპლი მოსამსახურე პერსონალში, ბაზამ მატერიალური ზარალი განიცადა. კვლავ შეუპოვარი ბრძოლებია ქალაქ ტამკის რაიონში.

საიგონის შიდამოებში და თვით ქალაქში განთავისუფლების ძალების ქვეგანაყოფებმა მთელი რიგი ოპერაციები განახორციელეს ამერიკისა და მარionეტთა არმიის საგუშაგოების წინააღმდეგ. ერთ-ერთ საგუშაგოს, რომელიც ექვს კილომეტრზე მდებარეობს საიგონის ცენტრიდან, შეუტია პატრიოტთა რაზმმა.

ფოტო ვია-საკდესისა.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა. ამერიკელთა ბარბაროსული დაბომბვის მიუხედავად წუთითაც არ წყდება შვიდობიანი საქმიანობა ქალაქებსა და სოფლებში. მოძრავი სამედიცინო პუნქტები ხაუანგის პროვინციაში სისტემატურ ბრძოლას აწარმოებენ მალარიის წინააღმდეგ. ამ სურათზე თქვენ ხედავთ პროფილაქტიკურ შემოწმებას ხაუანგის პროვინციის ერთ-ერთ სოფელში.

ბელგიპაპის ღენტიდან

ქრგენტინა

ხელკეტებით მუშების წინააღმდეგ

ბუენოს-აირესი, 13 მარტი. (საკდესი). არგენტინის ტუკუმანის პროვინციის პოლიციამ ხელკეტები და ცრემლსადენი გაზები გამოიყენა „სან-რამონს“ შაქრის ქარხნის მუშების დემონსტრაციის წინააღმდეგ. დემონსტრაციის ბევრი მონაწილე დაშავდა, რომელთა შორის არიან ქალები და ბავშვები.

მუშები ქუჩებში გამოვიდნენ იმისათვის, რომ გამოეთქვათ პროტესტი მეწარმეთა განზრახვის წინააღმდეგ, რომლებიც აპირებენ დახურონ ქარხანა და ამით მუშებს მოუსპონ სამუშაო და არსებობის საშუალება.

ესპანეთი

ისრაელი გენერლის ვიზიტი

ნიუ-იორკი, 13 მარტი. (საკდესი). ისრაელი გენერალი აბრაჰამ იოფე, რომელიც ჯავშანსატანკო ნაწილებს სარდლობდა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის წინააღმდეგ ისრაელის აგრესიის დროს, ნიუ-იორკში ჩამოვიდა. როგორც გაზეთი „ნიუ-იორკ პოსტი“ იუწყება, ამერიკის შეერთებულ შტატებში მისი ვიზიტის ოფიციალური მიზანია მონაწილეობა მიიღოს ისრაელისათვის ფინანსური დახმარების გაფართოების „საგანგებო კამპანიაში“, რომელსაც სხვადასხვა სიონისტური ორგანიზაცია ეწევა. ისრაელი გენერალის ჩამოსვლის სხვა მიზნების შესახებ გაზეთი არაფერს იუწყება.

სანტიაგო

აფეთქება ამერიკის საკონსულოში

სანტიაგო, 13 მარტი. (საკდესი). გუშინ შუადღისას თვითნაკეთი ბომბი აფეთქდა ამერიკის შეერთებული შტატების სანტიაგოს საკონსულოს შენობაში. მსხვერპლი არ ყოფილა.

ამერიკის საელჩოს ატაშემ განაცხადა, რომ, როგორც ჩანს, ბომბი აფეთქეს „ანტიამერიკულად განწყობილმა ელემენტებმა“.

ДРОА ЗИМОЧАЗЕДОТ!

ჩრდილოეთ ირლანდიის კომპარტიის წევრი ვილსონისადმი

ლონდონი, 13 მარტი. (საკდესი). „ჩვენ მოვუწოდებთ ინგლისის მთავრობას განახორციელოს „ყველა“ ღონისძიება, მათ შორის გამოიყენოს ძალა, რათა ბოლო მოუღოს სამხრეთ როდეზიაში „ბარბაროსული რასისტული რეჟიმის ბატონობას“, — ნათქვამია წერილში, რომელიც ჩრდილოეთ ირლანდიის კომუნისტური პარტიის ალმასკომმა გაუგზავნა ინგლისის პრემიერ-მინისტრს ვილსონს.

წერილში, რომელიც დღეს გაზეთმა „მორნინგ სტარმა“ გამოაქვეყნა, გამოთქმულია პროტესტი ამის წინააღმდეგ, რომ სიკვდილით დასჯეს როდეზიის თავისუფლებისათვის მებრძოლი აფრიკელები. „სმიტთან ლაპარაკი ამაოა, — ხაზგასმულია წერილში, — დროა ვიმოქმედოთ, სანამ უფრო მეტ პატიმარს არ სწევია სიკვდილით დასჯილ აფრიკელთა ბედი“.

ДОЛАРИ САФРТХЕШИА

ნიუ-იორკი, 13 მარტი. საკდესის კორესპონდენტი ო. ანიჩკინი იუწყება:

გუშინ ამერიკის შეერთებული შტატების ფინანსთა სამინისტრომ გამოაცხადა, რომ ფორტ-ნოქსიდან ამოიღებენ — 450 მილიონ დოლარის ღირებულების ოქროს ახალ პარტიას ვალუტის ბაზრებზე გასაყიდად. წელს შეერთებული შტატები უკვე მეორედ მიმართავს ასეთ დრამატულ ღონისძიებას. თებერვლის დამდეგს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ბაზარზე გამოუშვა 100 მილიონი დოლარის ოქრო.

ამერიკის ოქროს გაყიდვა გრძელდება, რაც გამოწვეულია განუწყვეტელი ოქროს ცვილ-ცხელებით დასავლეთ ევროპის დედაქალაქებში, და განსაკუთრებით ლონდონში. ამერიკის ხაზინის გუშინდელი გადწყვეტილება გამოაცხადეს მას შემდეგ, რაც ლონდონში კვლავ გაძლიერდა ოქროს მოთხოვნა და კვლავ დაეცა გირვანქა სტერლინგის კურსი. ფინანსთა სამინისტროს განცხადებაში აღნიშნულია, რომ ოქროს ახალი ამოღება საჭიროა ევროპის ვალუტის ბაზარზე მდგომარეობის სტაბილიზაციისათვის.

ამავე დროს საფინანსო მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ შეერთებული შტატების მიერ ოქროს ახალი პარტიის გამოშვების მიზანი შეინარჩუნოს ოქროს ფასი მის ახალ დონეზე — 35 დოლარი უნციაში.

ოქროს ცვილ-ცხელების შედეგად ამერიკის შეერთებული შტატების ოქროს მარაგი კრიზისულ დონემდე შემცირდა — ახლა მხოლოდ 11,68 მილიარდ დოლარს შეადგენს.

ის გარემოება, რომ გრძელდება გირვანქა სტერლინგის კურსის დაცემა, იზრდება ოქროს მოთხოვნა ევროპაში, როგორც „ნიუ-იორკ ტაიმსი“ აღნიშნავს, მოწმობს, რომ ბევრ ქვეყანას საეჭვოდ მიაჩნია ოქროს ფასის შენარჩუნება წინანდელ დონეზე, რასაც აღნიშნავდნენ „ოქროს პულის“ წევრები. ამ გადაწყვეტილებამ, წერს „ნიუ-იორკ ტაიმსის“ ლონდონელი კორესპონდენტი, ვერ შეაჩერა ოქროს ცვილ-ცხელება, პირიქით, ცეცხლზე ნავთი დაასხა.

როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნაციონალის საგენტოს ეკონომიური კორესპონდენტი წერს, თუ ოქროს ცვილ-ცხელება არ შეწყდა, საჭირო გახდება დოლარის დევალვაცია.

უმუშევრობა იზრდება

ვაშინგტონი, 13 მარტი. (საკდესი). ამერიკის შეერთებულ შტატებში უმუშევართა რიცხვმა თებერვალში მიაღწია 3,2 მილიონ კაცს. ეს თითქმის 200 ათასით მეტია, ვიდრე იანვარში იყო, ეს გუშინ გამოაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების შრომის სამინისტრომ.

კონგრესმენების პროტესტი

ვაშინგტონი, 12 მარტი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა პალატის 22 წევრმა პროტესტი გამოთქვა ომის წინააღმდეგ, რომ რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკმა განიზრახა საბერძნეთის სამხედრო ხუნტას ასესხოს 20 მილიონი დოლარი.

ფინანსთა მინისტრისა და ბანკის დირექტორთა საბჭოში ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლისათვის გაგზავნილ დეპეშაში კონგრესმენები მოითხოვენ უარი უთხრან სესხის მიცემაზე „სამხედრო დიქტატორებს“. ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა ბანკის დირექტორთა საბჭოში დაადასტურა, რომ მიიღო მითითება კენჭი უყაროს დღეს ასეთი სესხის მიცემას.

ПИРОВНЕБЕБИС ДАЦВА ТУ ХАШУШОМАНИА?

ლონდონი, 13 მარტი. (საკდესი). ინგლისის პარლამენტი უკვე მერამდენედ გამოთქვამს სერიოზულ შეშფოთებას იმის გამო, რომ საფრთხე შეექმნა პიროვნების თავისუფლებას. ეს გამოწვეულია ადამიანებისადმი თვალთვალით, რასაც ფართოდ მიმართავენ ინგლისში ქრძო დეტექტიური სააგენტოები. პარლამენტის წევრმა ლეიბორისტმა ალექსანდრე ლაიონმა 11 მარტს პრეს-კონფერენციაზე თქმა პალატაში წარადგინა მოქალაქეობრივ თავისუფლებათა დაცვის ეროვნული საბჭოს სპეციალური მოხსენება. მოხსენებაში აღნიშნულია, რომ მკვეთრად გადიდდა შესაძლებლობა სხვადასხვა ხელსაწყოების შეძენაზე, რომლითაც უსმენენ საუბრებს კერძო ბინებში და ტელეფონით. „ჩვენი მოწყობილობით თქვენ შეგიძლიათ მოისმინოთ მეგობართა ჯგუფის საუბარი მეზობელ უბანში“, — ნათქვამია ამერიკის ერთ-ერთი კომპანიის სარეკლამო განცხადებაში, როშელიც ასეთ ხელსაწყოებს უშვებს.

მოქალაქეობრივ თავისუფლებათა დაცვის ეროვნული საბჭო შეშფოთებულია, რომ ხალხს ასეთი ფართო მასშტაბით ადევნებენ თვალყურს პოლიცია, ადვოკატი, ბანკოვანი, ინდუსტრიული და კომერციული ორგანიზაციები. ეროვნული საბჭოს ანგარიშში ნათქვამია, ვიდრე ეროვნული ბანკი ინფორმაციას ინახავს ადამიანთა ფინანსურ ვალდებულებათა,

ნიკო ფიროსმანაშვილი
მოქანდაკე ბ. აპალიშვილი.

ხალხის მხატვარი

• ფიქრები ნიკო ფიროსმანაშვილზე

• შალვა ამირანაშვილი

XIX-ის განუმეორებელ სურათებს, მაგრამ მხატვრის ტილოების ცხოველმყოფელი სახე იმდენად სრულყოფილია, რომ მისი ხელოვნება უნებლიეთ უკავშირდება თანამედროვე ეპოქას. მხატვრის თხრობას გარკვეული ისტორიული მნიშვნელობა ენიჭება. მხატვრის მიერ შექმნილ სურათებში აღბეჭდილი არიან სხვადასხვა პროფესიისა და სხვადასხვა სოციალური წარმოშობის პირები: მდიდრები და ღარიბები, მეეზოვეები, ვაჭრები, გლეხები, რომლებიც შემოდგომაზე მოსავალს იღებენ, სტუმრები საზეიმოდ გაშლილი მაგიდის წინ. ამ წრეში გაიზარდა ჩვენი მხატვარი. იგი თბილი გრძნობით და გარკვეულად მოცემული ირონიით ასახავდა მათს ცხოვრებას. მხატვარს ჰქონდა მხატვრული გამოსახვის თავისებური საშუალებანი, ფერწერის საკუთარი ტექნიკური ხერხები. ნ. ფიროსმანაშვილი გარემომცველ სინამდვილეს ასახავდა ისე, როგორც ხედავდა, როგორც შეეძლო ნატურიდან უშუალო შთაბეჭდილებით, აგრეთვე საკუთარი წარმოდგენის მიხედვით. მხატვარმა ასახა იმ სოციალური წრის ყოფაცხოვრება, საიდანაც თვითონ გამოვიდა.

მისი სურათები წარმოადგენს ეროვნულ პორტრეტულ გალერეას, შექმნილს უნიჭიერესი მხატვრის მიერ. ნიკო ფიროსმანაშვილის მრავალფეროვანი მხატვრული მემკვიდრეობის თავისებურება, შემოქმედებითი ძიების შინაგანი ძალა და ნოვატორული მისწრაფება გასაგები ხდება ჩვენთვის, თუ გავითვალისწინებთ იმ სოციალურ ნიკო ტოვებს მშობლიურ მხარეს და სწავლა-განათლების მისაღებად მიემგზავრება თბილისში.

სამწუხაროდ, ხელმოკლეობამ, გაჭირვებამ აიძულა იგი რკინიგზის მოსამსახურედ დამდგარიყო. მაღე ავადმყოფობის გამო მიატოვა რკინიგზაზე მუშაობა. ნიკომ დაიქირავა დუქანი და გახსნა რძის ნაწარმით ვაჭრობა, მაგრამ ეს წამოწყებული საქმე ჩაიშალა.

ნიკო ბავშვობიდანვე გატაცებული იყო ხატვით. თბილისში მუდამ თვალყურს ადევნებდა, გულდასმით აკვირდებოდა, თუ როგორ მუშაობდნენ მღებავები, განსაკუთრებით კი მხატვრები, რომლებიც ამრებს წერდნენ, რესტორნებსა და სარდაფების მოხატვას აწარმოებდნენ. სხვების დაუხმარებლად თვითონ რომ ისწავლა ამრების წერა-მოხატვა, ნიკო შეუდგა შეკვეთით მიღებულ სამუშაოთა შესრულებას; მაღე თვითნასწავლ მხატვარ გიგო ზაზიაშვილთან ერთად სამღებრო-სამხატვრო სახელოსნოც კი დააარსა (1882 წ.). სამწუხაროდ, ამ წამოწყებამ სრული მარცხი განიცადა.

უკიდურესად გულჩათხრობილი, ავადმყოფურად თავმოყვარე ნიკო ფიროსმანაშვილი მარტოხელა კაცის კარჩაკეტილ ცხოვრებას ეწეოდა. უოჯახოდ და უამხანაგოდ დარჩენილმა, ყველასაგან განდგომილმა ფიროსმანაშვილმა მოხეტიალე კაცის ცხოვრება დაიწყო. ერთადერთი წრე, სადაც იგი ტრიალებდა, ეს იყო მიკიტან-სწრაჯებისა და ზეგრილ ხელოსანთა წრე... ისინი იყვნენ მისი შემკვეთნი და მისი ნიჭის დამფასებელნი. ფუნჯებით და საღებავებით ხელში იგი დახეტიალობს სარდაფიდან სარდაფში, დუქნიდან დუქანში, რესტორნიდან რესტორაშში, ეყვნენ, დაინტერესდნენ ნ. ფიროსმანაშვილის შემოქმედებით და შეუდგნენ მხატვრის სურათების შეგროვებას. თანდათანობით საზოგადოებაში აღიძრა ტენშმარიტი ინტერესი ნიკო ფიროსმანაშვილის შემოქმედებისადმი. საქართველოს ეროვნული გალერეის დირექტორმა მხატვარმა დ. შევარდნაძემ მოკლე ვადაში შეაგროვა ამ მხატვრის ნაწარმოებთა ძირითადი კოლექცია, რომელიც ამჟამად დაცულია საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ფონდებში. ნაწილი კი მოთავსებულია მუზეუმის "შუამავ ექსპოზიციაში.

ᲙᲐᲚᲝᲖᲔ

ᲙᲐᲜᲐᲚᲙᲔᲚᲘ წლების განმავლობაში აღნიშნული ფოდი შეიესო მხატვრის იმ სურათებით, რომლებიც კეთილ პირებს ეკუთვნოდა დღეს თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ გამოჩენილი თვითნასწავლი მხატვრის მემკვიდრეობა შეკრებილია თითქმის მთლიანად, მცირე გამონაკლისის გარდა, რომელიც საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის მიერ აღრიცხულია.

როგორც აღნიშნული იყო, ნ. ფიროსმანაშვილს არავითარი პროფესიული განათლება არ მიუღია. მან არ იცოდა პროფესიული ფერწერის ტექნიკა, არ იცნობდა არც წარსულ, არც თავის თანადროულ ქართულ ხელოვნებას. მიუხედავად ამისა, მისი ხელოვნების ქვაკუთხედი არის ხალხური მხატვრული შემოქმედება, იგი ხალხურ ნიადაგზე აღმოცენებული ხელოვნებაა.

სახელდობრ რაში მდგომარეობს თებშიც (**„ბობოლა გლეხი მათრახით ხელში", „უშვილო მილიონერი და ღარიბი ქალი შვილებით", „მათხოვარი"** და სხვ.). ამკარად იგრძნობა, რომ მხატვარი დიდი სიმპათიით ასახავს დაბალი ფენების წარმომადგენლებს და თავისი ნაწარმოებებისათვის არჩევს ისეთ თემებს და სიუჟეტებს, რომლებიც შეიძლება არსახოს იმდროინდელ სინამდვილეში გაბატონებული სოციალური უკუღმართობა.

ძველი თბილისის კოლორიტული ტიპები ფიროსმანაშვილმა აღიეჭვა თავისი სურათების განსაზღვრეთ სერიაში. ცხადია, რომ ისინი ნატურიდან არიან დაწერილნი. ასეთია, მაგალითად, **„მუშა რუმბით", „მედუქნე", „მზარეული", „შეეზოვე"** და სხვ.

დიდი სიყვარულით ხატავდა ნ. ფიროსმანაშვილი ცხოველებს. განსაკუთრებით უყვარდა ირმების, ქეოლიკების, დათვების და მათი ბელების, ლომებისა და ირწყვების, ჟირაფის ხატვა. ფანტასტიკურად გამოიყურება დათვის გამოსახულება მთვარიან ღამეში; ნადირის სილუეტი თითქოს შემოხაზულია მთვარის შარავანდედით. ადამიანები ფიროსმანაშვილის სურათებში განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, ცხოველები კი ყოველთვის გვევლინება სიკეთის განმსახიერებლად, ისინი ეკუთვნიან ქართული ხალხური ზღაპრის სამყაროს, ზოგიერთი კი მხატვრული ფორმის სახულობით მეტყველია და მოგვაგონებს ხალხური შემოქმედების თიხიდან გამომწვარი მცირე ქანდაკების ნიმუშებს, რომლებიც ასე გავრცელებულია გლეხების ყოფაცხოვრებაში. ნ. ფიროსმანაშვილის შემოქმედებაში ცხოველთა სამყარო, უთუოდ დიდი ქართველი პოეტის ვაჟა-ფშაველას ნაგალითით, ხიბლავს ადამიანს პოეტური სახეებით, ადამიანური განცდებით. სურათები **„დაჭრილი ირემი"** და **„ირემი ნუკრთ წყალსა სვამს"** დახატულია დიდი გემოვნებით, ძლიერი ენერგიით. ირმა შთაბეჭდილებას ტოვებს დაჭრილი ცხოველის დიდრონი, თითქოს ცრემლმორეული ნაღვლიანი თვალები. სავსებით მართალია **ᲯᲐᲜᲘᲛᲝᲜᲝᲕᲘ**, როდესაც იგი აღნიშნავს, რომ **„მხატვარმა შექმნა ცხოველის აღნიშნული სახე მრავალი წლით უფრო ადრე, ვიდრე იგი უდინარის მიერ შექმნილ „ბემბის" სახით ეკრანის საშუალებით აღიბეჭდებოდა ყველა ქვეყნის ბავშვთა ცნობიერებაში"** (ჟურნალი **„ᲞᲝᲠᲢᲠᲔᲢᲘ" 1968, № 5**).

ნ. ფიროსმანაშვილს დაწერილი აქვს ნატურმორტების სერია, რომელიც გამოირჩევა მაღალი მხატვრული ღირსებით. მათი რიცხვი დიდი არ არის, მაგრამ თვითეული სურათი გამოირჩევა დიდი თავისებურებით და არსებითად დამოუკიდებელ მხატვრულ ნაწარმოებს წარმოადგენს.

ზოგიერთი დეტალი, მაგალითად, მწვადი შამფურზე, თევზი, მწვანილი, ჭიქა წითელი ღვინით, მომწიფებული, ეშმარიტად დიდი ოსტატის ხელით არის დაწერილი. ნატურმორტები განსაკუთრებით აბრებზე გამოირჩევიან შემოქმედების დიდი ძალით, შესრულებულია მხატვრის მიერ დიდი გატაცებითა და ოსტატობით.

ფიროსმანაშვილს უყვარდა მშობლიური მხარე, მშვენიერი საქართველო. იგი გრძნობდა მშობლიური ქვეყნის თავისებურ სილამაზეს, ქართული მიწის სუნთქვას. პოეტური განწყობილებით ასახულია საქართველოს ბუნების მრავალ-

ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲣᲒᲠᲐᲚᲝ ᲔᲜᲘᲗ ᲘᲒᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲗᲮᲠᲝᲑᲡ ᲐᲛ ᲬᲠᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ, ᲬᲜᲔᲠᲕᲔᲣᲚᲔᲑᲘᲡ, ᲛᲘᲡᲘ ᲞᲘᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲚᲮᲘᲜᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲡ. ᲐᲛᲐᲨᲘᲐ ᲛᲮᲐᲢᲕᲐᲠᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲜᲘᲭᲘᲡ ᲡᲐᲘᲓᲣᲛᲚᲝᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲤᲔᲡᲕᲔᲑᲘᲗ ᲣᲙᲐᲕᲨᲘᲠᲓᲔᲑᲐ ᲮᲐᲚᲮᲣᲠ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐᲡ. ᲐᲛᲐᲨᲘᲐ ᲨᲔᲣᲛᲐᲠᲘᲢᲘ ᲫᲐᲚᲐ Ნ. ᲤᲘᲠᲝᲡᲛᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡᲐᲨᲘ. Ნ. ᲤᲘᲠᲝᲡᲛᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲝᲑᲐ ᲛᲔᲢᲐᲓ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲤᲔᲜᲝᲛᲔᲜᲘᲐ. Ნ. ᲤᲘᲠᲝᲡᲛᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲣᲚᲘ ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲝᲑᲐ ᲐᲦᲑᲔᲭᲓᲘᲚᲘᲐ ᲣᲦᲠᲐᲚᲝᲓ ᲓᲐᲛᲐᲯᲐᲠᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲗᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲨᲘ. Ნ. ᲤᲘᲠᲝᲡᲛᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲝᲑᲐ ᲐᲦᲑᲔᲭᲓᲘᲚᲘᲐ ᲣᲦᲠᲐᲚᲝᲓ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲗ. ᲛᲘᲡᲘ ᲛᲘᲠᲘᲗ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚᲘ ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲝᲛᲝᲜᲐᲗᲘ ᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘᲡ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲐᲠᲘᲐᲜ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲔᲡ ᲤᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲓᲐᲬᲔᲠᲘᲚᲜᲘ. ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲐᲓ ᲐᲛᲘᲡᲐ, ᲖᲔᲠᲘᲜᲘ ᲓᲐᲛᲐᲡᲢᲣᲠᲔᲑᲓᲐ ᲡᲐᲡᲢᲣᲠᲜᲘᲡ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲛᲘᲗᲘ ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲤᲔᲠᲘ. ᲛᲐᲡ ᲐᲠᲐᲠᲐᲤᲘᲠᲘ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲗᲥᲕᲐ ᲐᲠ ᲛᲘᲣᲤᲘᲚᲘᲐ. ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ ᲐᲛᲘᲡᲐ, ᲛᲘᲡᲘ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲝᲖᲘᲪᲘᲣᲠᲘ ᲤᲣᲜᲓᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲣᲠᲘ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ. ᲛᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲠᲩᲘᲚᲘ ᲠᲘᲗᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲠᲘᲜᲪᲘ�პᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲒᲐᲜᲐᲪᲓᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲞᲝᲔᲢᲘᲣᲠᲘ ᲤᲔᲠᲬᲔᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲗᲘ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲘᲗ. ᲛᲘᲡᲘ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲣᲠᲘ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕ